

რედაქცია

მელიქონოვის ქუჩაზე, პეტრე ჩაიგვეტოვის სა-
ლუბო.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქონოვის სტამბაში.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. Въ
редакцію газеты „Дროება“.

გაზეთის ღირებულება

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში —
4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნაშრომი — ერთი შაურტი.

დროება

გამოდის კვირკობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრან-
გულს ენებზე.

განცხადების ღირებულება

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით
სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ
და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიებსა.
ღებუქველი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ხელის-მოწერა

ზაქათალის მხროვნებთათვის

თფილისის საადგილ-მამულა ბანკის სიით:

სახელი	მან.	კაპ.
ხაჩატურიანი	1	—
პრ. შუთათელიძე	1	—
ივ. მესხ.	1	—
იოს. შანშივეი	1	—
ლევ. ჯანდიერი	3	—
მ. მარტოვიანი	3	—
ჩიმიშვიანი	1	—
ჯავახიშვილი	—	50
მის. აბესალომოვი	3	—
პლ. აბაზაძე	2	—
N. N.	1	—
N. N.	—	50
N. N.	—	20
პლ. სუმბათოვი	2	—
N. N.	2	—
ბეს. ლობჯინიძე	2	—
ქლიაშვილი	—	50
დმ. შავჭავაძე	1	—
პლ. ჩოლოყაშვილი	10	—
დავ. ავალიანი	10	—
დმ. ჯორჯაძე	10	—
მ. შავჭავაძე	1	—
N. N.	2	—
მ. ჩიქოანი	3	—
ივ. სუმბათოვი	3	—
ზაქ. მახვარიანი	2	—
N. N.	1	—
N. N.	1	—
N. N.	1	—
ქანელი	1	—
ნესტორ ჯავახიძე	—	20
მ. ნახიბოვი	1	—
ივ. ავალიანი	1	—
რევაზ მანანაძე	3	—

სულ — 74 მ. 90 კ.

ბიშ. ჯანაშვილი — 1 —

ადრინდელი სიით — 31 —

სულ „დროების“ რედაქციაში — 106 მ. 40 კ.

ეს შეწირული ფული სამშაბათის ფრა-
ტით გაიზიარება ზაქათალს, უფ. როტმი-
სტრის ქოსტანტინე, პეტრეს ძის ქამსარა-
კანის სახელობაზე.

საქართველო

ახალი ქართული გაზეთი

ამბობენ, რომ მომავალი წლიდან
ახალი ქართული გაზეთი გამოვა ჩვენ-
შიო...

ამბობენ, რომ როგორც თვითონ
გაზეთი იქნება დიდი, ფართო და
გრძელი, ისე პროგრამაც დიდი და
ფრცული ექნება: პოლიტიკური,
ლიტერატურული, კრიტიკული, ბე-
ლეტრისტული, იურიდიკული, სა-
მეცნიერო, პედაგოგიური და ბევრი
სხვა „ული“ „ური“ განყოფილება
იქნება შიგაო.

რედაქტორობა ამ გაზეთისათ. ილ.
მ. შავჭავაძეს უკისრია. თანამშრო-
მელებს ურჩევს ამბობენ: პეტრე-

ბურღის ქართული ენის პროფესორს
უფ. პლ. საგარელს, მდგის ქი-
მიის პროფესორს უფ. მ. პეტრია-
შვილს, მუთისის საადგილ-მამულა
ბანკის გამგებელს უფ. ბეს. ლო-
ბჯინიძეს, უფ. ნ. მანანაძეს, ი. ბო-
გებაშვილს, ბეს. ჯავახიძეს, დავ.
ჩქოტუას და ბევრს კიდევ სხვა მცნობ
და უცნობ პირებსა.

ამბობენ, თბოვნა გაზეთის ნების-
დართვისათვის და პროგრამა უკვე
წარდგენილია სადაც რიგიაო და მო-
კლე ხანში მმართველობისაგან დამ-
ტკიცებას მოელონო.

ამბობენ, ეს ახალი გაზეთი რო-
გორც ლიტერატურული მხრით
(თანამშრომლებით) იქნება მდიდა-
რი, ისე მატერიალურის მხრითაც;
ამ თვითვე ხუთასი თუმანი ხელში
ექნება გაზეთს ძირის-ფულადო და
ამას გარდა სხვა გეგარე შემოსავლის
იმედო აქვთ; ერთი სიტყვით, ახალს
გაზეთს ყველა ის საშუალება ექნე-
ბაო, რასაც „დროებას“ ჰპირდებოდ-
ნენ, „დროების“ მებატონენი რომ
ამ ახალი გაზეთის მოთავეთ წინადა-
დებაზე დათანხმებულიყვნენო.

ამბობენ, ეს გაზეთი კვირაში ერთ-
ხელ გამოვა და წელიწადში 7 მა-
ნეთად ეღირებაო და სხ. და სხ.

ამნაირად, ჩვენს გაზეთს ახალი
მომქე ებადება.

ქეთილი იყოს იმის ჩასახვა ილ.
შავჭავაძისა და ბეს. ლობჯინიძის
აზრში. ქეთილი იყოს იმის დაბა-
დება! ქეთილი იყოს, თუ ამ მომავალ
ჩვენს მოქმე: მარტო და მხოლოდ
ლიტერატურული ინტერესები ექნე-
ბა მხედველობაში და არა სხვა რამე.
ქეთილი იყოს, თუ ის საზოგადო-
სარგებლობისათვის მოღვაწეობას გა-
მოიჩინს და არა კერძო პირების,
კერძო ინტერესებისათვის. ქეთილი
იყოს, თუ ის „მალა დაიჭრეს ლი-
ტერატურის დროშას,“ ისე მალა,
რომ ქვეყნიერი რაიმე ჩირქი მას არ
მოეცხოს. ქეთილი იყოს, თუ ის
იქნება მიუდგომელი, მოუსყიდველი
და პატიოსანი.

მაგრამ, რა ექნათ? მჭვი ვერ მო-
გვიშორებია თავიდან. ის გარემოება,
რომელმანც დაბადა ეს ახალი გაზე-
თი, რომელმანც უფ. ბეს. ლობჯინი-
ძე და ილ. შავჭავაძე „აიძულა“, რომ
ქართული გაზეთის გამოცემისთვის
ხელი მოეკიდნათ, ის გარემოება სულ
სხვას გეიჩურჩულებს ყურებში, სულ
სხვას გვეუბნება, ცდილობს სულ
სხვაში დაგვარწმუნოს.

თქვენც იცით ეს გარემოება: ბეს.
ლობჯინიძემ და ი. შავჭავაძემ მხო-
ლოდ მაშინ გაიღეს გულში ახალი

გაზეთის გამოცემა, როდესაც ძველ-
მა, ე. ი. „დროებას“ იმათ წინააღ-
მდეგ სიტყვის თქმა გაბედა; მხოლოდ
მაშინ, როდესაც „დროების“ ერთმა
თანამშრომელთაგანმა გაბედა იმათს
მოქმედებაზე ცოტაოდენი ეჭვის შე-
მოტანა.

ამ პირებმა წინადადება მისცეს
„დროების“ ახლანდელ პატრონებს,
რომ, თუ აკ. წერეთელსა და ნიკ.
ნიკოლაძეს გამოაგდებთ რედაქცი-
იდან და მათ ნაცვლად უფ. ბეს. ჯა-
ვახიძესა და დ. ჩქოტუას მიიღებთ,
მატერიალურ და სხვა ყოველ გეგარე
შემწეობას მოელოდეთ ჩვენგანაო.
და თუ არა... თუ არა, ჩვენ ახალს
გაზეთს გამოეცემთ!

რომელიმე გაზეთი რომ ამისთანა
გარემოებაში დაიბადება, როგორ არ
შეგეია კაცს ტენიში ეჭვი, რომ ეს გა-
ზეთი მიუდგომელი და „ლიტერატუ-
რის დროშის მალა დამჭერი“ ვერ
იქნება? როგორ არ გაიფიქრებს სა-
ზოგადოება გულში იმ ჰაზრს, რომ
ამ გაზეთს ზოგი კერძო ინტერესე-
ბისა და კერძო პირების სამსახური
ექნება მხედველობაშიო?

ჩვენ ამას ვამბობთ, ამ ეჭვს ვაც-
ხადებთ; მაგრამ დარწმუნებული იყა-
ვით, რომ ყველაზე პირველად და
იქნება ყველაზე მომეტებულიადაც
ჩვენ გაიხარებთ, თუ ეს ჩვენი ეჭვი
ბოლოს არ გამართლდება და ჩვენი
ახალი მომქე-გაზეთი სწორს, პატიო-
სანს, საზოგადო სიკეთის გზას მტკი-
ცვდ, შეუწყვევლად, მხნეთ, დაადგება.

ყველაზე მომეტებულია ჩვენ გაგ-
ვიხარდება, თუ ამ გაზეთში ჩვენ ისეთ
ნამდვილ მომქმეს შევიძენთ, რომელიც
ხელი-ხელში გაყრილი ჩვენთან ერ-
თად იბრძოლებს იმის წინააღმდეგ,
რის წინააღმდეგაც ჩვენ ვიბრძვი, თუ
ის ჩვენთან ერთად ემსახურება
ჩვენს საზოგადოებას, თუ ჩვენთან
ერთად მოინდობებს და იკისრებს ამ
საზოგადოების გამოღვიძებას, წარმა-
ტებას და ნამდვილს სამსახურს.

შრომა ხო გაგვიხანგრდება მაშინ,
ტირთი ხო ერთი-ორად მსუბუქი
შეგვექნება, საზოგადოების წარმატე-
ბა ხო ერთი-ორად უფრო აჩქარე-
ბით და გონიერად დაიწყებს მსვლე-
ლობას, ყველა ჩვენ საზოგადო საქ-
მეებს ხომ ორი მოუღლე ეყოლება
მაშინ, — და ჩვენ მეტი რაღა უნდა
გვინდოდეს, ამაზე მეტს რაღას უნდა
ენატრულობდეთ?!

მაშინ ვეღარაინ იტყვის, რომ...
თფილისისა და მუთისის საადგილ-
მამულა ბანკების გამგებელთათვის
არის დაარსებულიო...

დღიური

ჩვენ მივიღეთ პარიჟიდან, გაზეთში
გამოსაცხადებულად, შემდეგი წიგნი:
„რედაქტორა!“

„შეორიწესად გთხოვთ ამ მოკლე შე-
ნიშვნას ალაგი მისცეთ თქვენს პატივცემულ
გაზეთში.“

ჩემდა სამწუხაროთ, ხმა დაუგლიათ ქუ-
თაისში, ვითომ მე პირადად სურვილი მქო-
ნოდეს მუთისის საადგილ-მამულა ბანკში
დირექტორათ ამოვეჩვიეთ. ეს ხმა სრულიად
უსაფუძვლოა.

საჭიროთ ვრაც დაუმატო შემდეგი: რო-
გორც მე პირადად, აგრეთვე სრულიად ახალ-
თაობას მართო ერთი სურვილი, ერთი მი-
ზანი გვაქვს: ვემსახუროთ და სარგებლობა
მოუტანოთ ჩვენს სამშობლოს; ჩვენ არ ვე-
კუთვით რომელიმე პარტიას, ან რომელიმე
საზოგადოების ნაწილს, არამედ მთელს ქვე-
ყანას. თუ სამშობლო ჩვენგან მოითხოვს
სამსახურს, ხომ მისთვის ვართ, და თუ არა,
მაინც მისთვის ვიმუშავეთ ისე და იქ, სა-
ცა შემთხვევა და ღონისძიება ნებას მოგვ-
ცემს.

დ. ლადინი.*

* *

ზანსაკუთრებით ყურადღებას მი-
ვაქცევთ ჩვენი სოფლები მკითხვე-
ლებისას ქვემო-მოყვანილს ამბავზე.
მაგრამ კიდევ უკეთესი ის იქნება,
რომ ამ გეგარე საგნებზე ჩვენი „სა-
სოფლო გაზეთი“ ხშირად და დალა-
გებით ილაპარაკებდეს. აი რაშია საქმე:

პალტაის გუბერნიისაში, ერთი სო-
ფლის რამდენიმე გლეხმა დადეს,
რომ რაც მიწა აქვთ, საერთოდ შე-
ამუშაონ. თაყიანთ ნადელს სხვა მი-
წაც მოუმატეს, რომელიც იჯარით
აიღეს მიწის მებატონისაგან. ამნა-
ირად შესდგა საზოგადო ამხანაგო-
ბის მიწა, რომელსაც ყველა გლე-
ხები უფლიდნენ და ამუშაებდნენ იმ
იარაღებითა და პირუტყვით, რაც თი-
თოეულს ამხანაგობის წევრს გაჩნ-
და. შემოდგომაზე თუ სხვა დროს,
რაც ამ საერთო შრომისა და მიწი-
საგან შემოსავალი ჰქონდათ, მშრო-
მელი სულის დაგვარად, თანასწო-
რად იყოფდნენ, და დარწმუნდნენ,
რომ ამგვარი მუშაობა და შრომის
ნაყოფის განაწილება უფრო სასარ-
გებლო ყოფილა როგორც მთელი
ამხანაგობისათვის, აგრეთვე ამხანა-
გობის თითოეულ წევრისათვის.

მეორე წელიწადს ამ სოფლის ყვე-
ლა დანარჩენ გლეხებმა წინადადება
მისცეს ამხანაგობას, რომ ჩვენც შე-
მოვიტანთ თქვენს ამხანაგობაში ჩვენს
მიწებსა და შრომასა და მივიღე-
თო. ამხანაგები დათანხმდნენ, და ამ-
ნაირად მთელმა სოფელმა ერთი სა-
ზოგადო ამხანაგობა (ასოციაცია)
შეადგინა. ახლა კიდევ იქირავეს ახა-
ლი მიწა 400 დღიური თავიანთი მე-
ზობლის მიწის მებატონისაგან.

ამ ქამად ამხანაგობის საქმე ისე

ს. მ.



კარგათ მიდის თურმე, რომ რაც იჯარითა და ნადელით აღებული მიწები აქვთ, უნდათ სულ შეისყიდონ, და ამას გარდა სამეურნეო მაშინებიც უნდათ შეიძინონ საზოგადო შემოსავლისაგან.

მარტო ყანაში მუშაობენ თურმე ამხანაგობის წევრნი ერთად; თითოეულს იმათგან თავის საკუთარი სახლკარი და ყნო აქვთ, რომელსაც თავის ნებაზე უყლიან.

წელს ამ ამხანაგობას სასოფლო შკოლა გაუმართავს, თავის ხარჯით, რომელშიაც 40 ყმაწვილი დაიარებოა.

„თფილისის მოამბეში“ დაბეჭდილია მომავლის 1876 წლის ქ. მუთათისის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, რომელიც ამ თვის 17-ს დაუმტკიცებია ქალაქის რჩევასა და რომელიც ვტყობულობთ, რომ მომავალ წელს ქალაქი მუთათისი 69,363 მანეთსა და 39 კაპიკს შემოსავალს მოკლის; ამ ანგარიშიდან ჩვეულებრივი შემოსავალი იქნება — 36,710 მან. და 73 კაპ. და უჩვეულებრივი — 24,466 მან. მასავალი იქნება: ჩვეულებრივი — 44,298 მან. და უჩვეულებრივი — 36,787 მან. და 60 1/2 კაპ. მაშა სადამე აქედამ სჩანს, რომ ქალაქის გასავალი 18,796 მანეთითა და 69 1/2 კაპიკით აღმატება შემოსავალს.

როგორც ხედავთ, სასურველი მდგომარეობაში არ ყოფილა მუთათისის ფინანსები....

ჩვენ მოგვივიდა ხაშურიდამ წიგნი, რომლის ავტორი იქაურ ცხოვრების სიძვირეზე იწერება. აქაურს რკინის გზის სახელოსნოში თითქმის ოთხასამდინ მუშა არის; ზოგიერთ იმათგანს დღეში 2—2,50 და 3 მანეთი ჯამაგირი ეძლევათ; მაგრამ ამათი ცხოვრება და გაჭირება რომ ნახოთ, შეგებრალბათო: მთელი ქიჩა მიკიტანთან და მედუქნესთან გადადისო, რომელიც ყველაფერს საძაგელსა და ძვირად ჰყიდის იმათზეო. მანსაკუთრებით შესაბრალონინი არიანო მკირე-წლოვანი, ახალგაზდა მუშები, რომელთაც ადამიანის პირის-სახე ზედ არა აქეთო და სხე.

ამას წინათ ჩვენს გაზეთში მოყვანილი იყო სია იმ პირებისა, რომელნიც ახალციხის ამომრჩეველთათვის შალაქის რჩევის ხმავანებად ამოირჩიეს. ახლა იქიდან მოგვივიდა ამბავი, რომ რჩევამ თავის შორის ოთხი კაცი ამოირჩია გამგეობის წევრათაო: სტეფანე იაკობის ძე მახუხოვეი, ივანე ლაზარეს ძე ბაღულავეი, მკაქიმ ალაბაბისძე ზეგამიანცი და ართემ ლუკანის ძე არუთინოვი. შალაქის სეკრეტრად ივანე ანტონის ძე მამულაოვი ამოურჩევათ.

მუთათისიდან გვწერენ, რომ იქაურ სასულიერო სასწავლებელში ამის წინაზე ორჯელ მოხდა ქურდობაო; პირველად ერთს მასწავლებელს რა-

ღაც ვერცხლუელი მოპარესო და მეორეჯერ თვითონ შკოლის ავეჯეულობა და სხვათა შორის ორი ფუთი წავიდა. ბოლოს ნახესო, რომ ვილაცას სასწავლებლის ქერზე აეტანა ყველა ნაქურდალი ნივთები, ერთს ალაგას ნაფოტები დაეყარა და ზედ ნაფთი წაესხაო. შექველიაო, გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი, რომ ვილაცა წყეულს ამ სასწავლებლის დაწვის განზრახვა ჰქონიაო და კარგი ბედო, რომ მალე გაიგესო.

ჩვენი ფოთელი კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ ამ დღეებში იქაურ ქალებს პირობა დაუდგიათ, რომ ეინც ლოტოს თამაშში ფული მოიგოს, რომელიმე კეთილი საქმისთვის თითო შაური გადადესო. რადგან თითქმის მუდამ საღამოს 20—30 ქალი იკრიბება აქ ხან ერთთან და ხან მეორესთან ლოტოს სათამაშოთაო, ამის გამო აქედამ ერთი წლის განმავლობაში კაი-ძალი ფული მოგროვდება, თუ ქალებმა თავის სიტყვა შეასრულესო.

მს მეორეთ არის, რომ შოთის ქალები ამნაირ პირობას უდებენ თავის თავს. მნახოთ, ახლა მაინც შეასრულებენ, თუ ისევ მალე დაივიწყებენ, როგორც პირველად დაივიწყეს...

იგივე კორრესპონდენტი გვწერს, რომ, გადამწვარი ზაქათალის მცხოვრებთა სასარგებლოდ, აქ ხელის-მოწერით ფული გროვდებაო და ამ მოკლე ხინში თქვენს რედაქციაში გამოგზავნით და გთხოვთ ამ გაჭირებულ ხალხს მიაწვდინეთო.

თქვენ გამოგზავნეთ და იმედი გქოდესთ, რომ ჩვენ იმწამსვე მივაწვდენთ.

ზემო იმერეთიდან გვწერენ, რომ მარტო საჩხერის ახლო-მახლო სოფლებში, ამ აპრილისა და მაისის განმავლობაში, ხუთი კაცი და ქალი მოჰკლესო, და საზოგადოთ ამ უკანასკნელ დროს აქეთკენ ისევ ერთობ განზირდა ავაზაკობა, კაცის-კელა და ქურდობაო. თუ როგორ ოსტატურად დაიწყეს აქ ქურდობა, ორ მაგალითს მოგიყვანთო, გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი „დროებით ვაჭარი ბაფრინდაშვილი“: ამას წინათ საჩხერის სასტუმროს პატრონს ფრანცუშს უბის ჯიბიდან ისე ამოაცალეს ორმოც-და-თორმეტი მანეთი, რომ ვერ გაიგოო. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: მეორე მაგალითი უფრო შესანიშნავია: ერთს მძინარე გლეხს, ხუროს ახალუბი გახადეს ტანზე, რაც ჯიბეში ფულები ჰქონდა, ამოიღეს და თვითონ ახალუბი კი იქვე დააგდეს...

მსეე კორრესპონდენტი გვწერს, რომ დაბა საჩხერის მცხოვრებელნი, სხვა გადასახად შორის, წელიწადში 600 მანეთს ახდიდა დღემდე ადგილობრივი პოლიციის პრისტაის ჯამაგირისთვისაო და ეს გადასახადი

ძალიან საგრძნობელად რჩებოდა ამ პატარა ქალაქისთვისაო. ამის გამო, მცხოვრებლების მიწდობილობით, ერთმა აქაურ აზნაურმა ზამყრელიძემ იშუამდგომლა მთავრობასთან და ახლა ამ ჩვენმა ექალმა გვახარაო, რომ მთავრობამ გვაპატია ეს გადასახადი და უფ. პრისტაეს სხვა ფულებიდან მიეცემა დღეის შემდეგ ჯამაგირიო.

სამეგრელოდან მოგვივიდა ამბავი, რომ წლევედელი წლისთანა დენის მოსავლის პირი ეს თითქმის ოცი წელიწადია არ ყოფილა ჩვენშიო; ყველგან კარგს მოსავალს მოველოთო, ნაცარი ჯერ-ჯერობით სულაობათ არსად არა სჩანსო, და, სხვა მხრით თუ არა, ამით მაინც ვიქნებით წელს დაკმაყოფილებული, თუ შემდეგ შიაც კარგი დარი დაგვიდგაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

მუთათისი, 18 ივნისს. „დროები“ მკითხველებმა იციან, რომ მუთათისში აგრ ერთ წელიწადზე მეტია, შესდგა „წრე ქართული სცენის მოყვარეთა“. მაგრამ, უქველია, მათ არ იციან, რომ, გარდა ამ „წრისა“, აქ შედგა კიდევ სხვა „წრე“, რომელზედაც მართლა რომ ღირს მივაქცოთ ყურადღება, როგორც იშვიათს და სამწუხარო მოვლენაზე.

შველამ კარგათ იცის, თუ რა ყურადღებას აქცევს მუთათისის საზოგადოება ჩვენებური სტუდენტების გულმოსაკლავ მდგომარეობას. რუსეთში და საქმლვარ გარეთ და რა გულკეთილობათ ცდილობას, რაც შეუძლია, დაეხმაროს იმ პირთ, რომელნიც მათსასარგებლოთ რასმეს კი განზრახვენ. საუკეთესო დახმარება — ეს სპექტაკლების გამართვაა მათსასარგებლოთ, რომლითაც რამოდენიმე სტუდენტების თანამგრძნობელნი პირნი, საზოგადოების დახმარებით, კიდევაც ეწეოდენ და ეწეიან სტუდენტებს.

მაგრამ ენლა რამოდენიმე ახალგაზდებმა განზრახეს ეს საზოგადოების თანამგრძნობა სტუდენტებისადმი აქციონ თავის სასარგებლოთ და ამ მიზნის აღსასრულებლოთ კიდევაც შეკრიბეს რვა-რვა მანეთიანი მწერლები სხვა და სხვა კანცელარიებიდან და იმათი დახმარებით შეადგინეს მეორე „წრე“, რომელიც მართავს სპექტაკლებს ვითომ სტუდენტების სასარგებლოთ და შამოსულს ფულებს კი, რასაკვირველია, ჯიბეში იწყობენ „წრის“ წევრნი. ამ „წრის“ ან უმჯობესია ესთქვათ, საზოგადოების მკარცველთ უფროსათ და წინამძღომელათ აქაური სემინარიის ერთი მასწავლებელია და მის ამხანაგებათ კი კანცელარიის მწერლები: უფ. ბ.—ი, პლ. წ.—ი და სხვა ბულგარის და სამიკიტნოების გმირები.

აი, ამ ვაჭბატონებმა კიდევაც გამართეს ხუთი სპექტაკლი სტუდენტების სასარგებლოდ, მაგრამ იმ სტუდენტებს, ვის სასარგებლოდაც, იყო დანიშნული შემოსავალი, თვალთაც

არ უნახავთ კაპიკი, მყოფი იქამ-წუხარაო ეს მოგვიწერს ქვემოთ მხრით საზოგადოებას უსირცხვილოთ ატყულებენ და სტუდენტებს ლუკმა-პურს უკარგავენ და მეორეს მხრით კი სხვებს უკარგავენ საზოგადოების რწმუნებას. ამას გარდა რა გავლენა უნდა იქონიოს ამ მიზნით შემდგარმა „წრემ“ გამოუცდელ ახალგაზდებზე, მით უფრო რომ, არ დაიფიქროთ, ამ „წრის“ მოთავე მასწავლებელია, რომელსაც ცოტადენი გავლენა მაინც უნდა ჰქონდეს თავის მაგირდებზე?

ამ „წრის“ მოქმედების ნიმუშათ მოვიყვან თუნდ უკანასკნელ სპექტაკლს, რომელიც მათ გამართეს „შესანიშნავი და სახელ-განთქმული მაგიკის და ფოკუსნიკის“ (წაიკითხე: შარლატნის) უფ. ძაზლოვის დახმარებით. ამ უკანასკნელში, არა თუ აფიშით — თვით ზალაში წარმოდგენის დროს სცენიდან ყვედრებით გამოუცხადა საზოგადოებას, რომ თქვენი შეილების სასარგებლოთ ვშრომობთ და ეხნარჯებითო. რასაკვირველია, საზოგადოება მოსტყუებდებოდა, რომ ერთს იქვე მჯდომ პირს არ აეხილა თვალები საზოგადოებისთვის და არ აეხსნას, რომ ისინი თავისი ჯიბის სასარგებლოთ შრომობენ და სტუდენტები კი ამ შემთხვევაში მცამეტი გოჭი არიან ჯოგშიო. ამ აშკარა და სამართლიანმა ქცევამ სასიამოვნოდ არ ჩაუარა ხსენებულს პირს.

მეორე დღესვე გაიგეთ, რომ 5 თუ 6 თუმანი ძაზლოვს წაუღია თავის წილათ, — დანარჩენი იმ წრეს. სულ რამდენი შამოვიდა — არ ვიციც, მაგრამ ზალა საესე იყო ხალხით.

ამ ფაქტების მიხედვით, რომელსაც თუ საჭირო იქმნა, უფრო დაწვრილებითაც ვაცნობებ რედაქციას, იმედი მაქვს, შ. რედაქტორო, ადგილს მისცემთ ამ წერილს თქვენს გაზეთში და მით ასარულებთ ყოველი პატიოსანი კაცის ვალს — გამოაშკარადდეს ამნაირი უსირცხვილო ექსპლუატაცია საზოგადოების ნდობის და საკუთრებისა.

ილია ბახტაძე

ზამო-მართლიდამ, 3 თბათვეს. დამწვარი და აღშფოთებული გულით გიგზავნით, უფოლო რედაქტორო, ამ კორრესპონდენციას, და გთხოვთ კუთვნილი ადგილი მისცეთ ჩემ მოწერილ ამბებს, თქვენს გაზეთში. დიდი ხანია ვაპირებდი ქვემოხსენებულ ამბების მოწერას, მაგრამ არ მიწდობდა ჩვენი კუთხას, ჩვენი მაზრის შერცხვენა; და ახლანდელ შემთხვევამ კი აღმაშფოთა და დამიმტკიცა, რომ ამ საქმეებზე გაჩუმება აღარ შეიძლება.

ზასაოცარი ამბავი მოხდა აქა, გუშინწინ, პირველ თბათვეს; ერთი, კარგი, პატიოსანი, გამოჩენილი და კეთილშობილი აზნაურ-შეილი, ივანე პაატას ძე საეანელი მოჰკლეს სოფელს საეანისევისა, ბორჯომზედ თხუთმეტ ვერსტზედ. ამ საეანელს და მის სახელიკაცებს დიდი ხანია მამულზედ დავა ჰქონდათ, და როგორღაც ჯერ სასამართლოებში ვერ გადაწყდა მაგათი საქმე.



მს უბედური ივანე საენელი, თავისი ორი ძმით მიდიოდა, ფეხით, შოსეს გზაზე; თავისი სახლიკაცის დუქანს რომ მიხლოდნენ, გამოვიდნენ დუქნიდან სამი საენლები, მაგათი მოლავე სახლიკაცები, თავისი ორი მოსამსახურით და ივანეს თოფები დაუმიზნეს. „რას შერებთ? ნუხუმრობთ, უცებ არ მოგვეკლათო!“ შთხრა ივანემა. მს რომ სთქვა, გავარდა თოფი, გავარდა მეორე და ივანეს ფერღმა მოხედა ტყეი და ზურგში გავიდა. მართი საათის განმავლობაში სულიც მისცა საწყალმა. ამ ბოროტის გამძრახველებს თოფები ბადის ტყეით გაუტყნით თურმე.

ამ უბედურობის შემთხვევით, ჩვენ დაგვკლდა, უდროვოდ, ჩინებულო, სენილისანი, ღონერი (შეძლებით) აზნაური, მოკეთე კაცი, ჭკვიანი კაცი სოფლის საქმეებში, რომლისაგანაც არაფის უსამოვნება არა ჰქონდა. რასაკვირველია, უფლისა ჰქვიმიც მოვიდა, პოლიციის პრინციპებიც სურამისა და ბორჯომისა, გამომძიებელიც და სხვანი; დაატუსაღეს ხუთი კაცი: სამი აქაური აზნაური—საენლები—მკვლელები და მაგათი მოსამსახურე ორი გლეხი, იპერელი და ლეჩხუმელი.

ამ შემთხვევისა გამო—არ შემიძლიან რამდენიმე სიტყვა არა ვსთქვა აქაურობაზე. ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, დღე არ გავიდა, რომ რამე ხიფათი არ მომხდარიყოს. რაც მახსოვს მე, მოვთვლი:

სოფელს ტეხერში, სახლიკაცებსა, მრჯონიკიძეებს, ორ ბიძაშვილს ლაპარაკი მოსვლიათ, და ერთმა—მეორეს მუცელში ვეება ხანჯალი ატაკა, ისე რომ ფაშეები გამოაყრევინა.

სოფ. ბეკაში—კილაკა ავაზაკები შორაბნის ლესნიის—ჰიბანის—სახლს დაეცნენ, და შიგ ზალის კარებში ჰიფიანის მოსამსახურე მოჰკლეს.

ბეკაშიდღე—ავაზაკები ღვდლის სახლს დაეცნენ, და ღვდელიც დასჭრეს, ბიჭიცა და ქალეზაც კი არ დააკლეს.

სურამში, ლხინის შემდეგ, მასპინძელმა სტუმრები გააცილა, და როცა მობრუნდა, ნახა ბალკონის კიბიდგან ჩამოვარდნილი სახელმწიფო ტყის მცველი—ტატა ჰიფიანი, თავ გატეხილი, რომელიც მესამე დღეს მოკვდა.

სოფ. ჩუმათელეთში ეხლანხანს სახელმწიფო გლეხ კაცებმა—16 წლის უმაწვილი კაცი, ჰიფიანი, მძიმეთ დასჭრეს; სახლში მიხტომილან.

სოფ. საენიხევის რაც მოხდა ამ თვის პირველსა, ხომ ზევით მოგახსენეთ.

იმ სოფელშივე, ერთმა რუსმა ხანჯლის დანით რუსის ღვდაკაცი მოჰკლა; თორმეტ ალაგას ჩაუკრავს დანა, სულ გულში და ძუძუებში.

სოფ. რველს, მტკვარში, ტომარაში დამხრალი ვილაკა კაცი იპოვნეს; და იქვე—ისევე ტომარაში—იპოვნეს მკვდარი ლეკი.

სხვა ამგვარი საქმეები და ხიფათები იმდენია, რომ ვერ მოთვლის კაცი; თავ გატეხილი და მძიმედ ნაცემი კაცი ძრავალია ჩვენში. სოფელი ხაშური კი, რაღა მოგახსენოთ, ამ გვარ საქმეების ბუდე გახლავს. მოხდება ამ გვარი საქმე და მფარველი კი არაფინა გეყავს ჩვენა! ღვთის იმედითა ვცხოვრებთ, და არ ვიცით ხვალ რა დღე დაგვადგება!

მს ამბები სულ ბორჯომსა და სურამს შუა ხედება!

ქოტე ზემოური

„შუ. რედაქტორო!“

„დროშის“ № 59 წავიკითხე თქვენთან მოწერილი წერილი, უფ. შოთელი სომხისა, რომელშიაც გეხვეწებოდათ თქვენს გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი ამბავი:

შეიღი თუ რვა წელიწადი არისო, რაც შოთში სომხის ეკლესია გაკეთდა და მღვდელიც არის გამწესებულიო, და ეს ჩვენი მღვდელი თავის მოვალეობას სრულებით არ ასრულებსო და წლითი-წლობაშინ ორი წილი სხვაგან დადის საქეფოთ და კარტის სათამაშოთაო, და ამდენი სომეხი დანატრულდებულნი ვართო საუფლო დღესასწაულის ხილვასო; და გეხვეწებათ, თქვენ გაზეთში გამოაცხადოთ, სხვა მღვდელი მაინც გამოგვიგზავნონო.

მე, როგორც სომეხმა და შოთში დადის ხნის ნამყოფმა და ეხლაც ხშირად მსვლელომა, შოთის გარემოება შესახებ სომხის ეკლესიისა და მღვდლისა დაწერილებით ვიცი; ამისათვის ორიოდ სიტყვა მინდა მოვახსენო უფ. შოთელ სომეხს, თუ, უფ. რედაქტორო, ალაგს მისცემთ თქვენს პატივცემულს „დროშაში.“

შნდა მოგახსენოთ, შოთის სომხის მღვდელი სულ ხუთი წელიწადია აკურთხეს მღვდლათ და პირდაპირ შოთში გამოგზავნა სასულიერო მთავრობამ. მოვიდა თუ არა შოთში, როგორც წესი იყო საეკლესიო, ალასრულებდა და ყოველთვისინ დილასალამოს ლოცულობდა; მაგრამ მობეზრდა მართო ლოცვით: ადამიანი არ მიდიოდა ეკლესიაში სალოცავათ. არა თუ მართო ამის ხელში, ამის წინა მოადგილეს ხელშიაც კაცი არ მიდიოდა ეკლესიაში და ისე ღარიბათ გარდაიცვალა მგ მღვდლის წინა მოადგილე, რომ სამადლოთ დაიმარხა და სიცოცხლით არაქენონის პურსა სჭამდა, რადგანაც არა ჰქონდა შემოსავალი ეკლესიიდან, რომ რიგინათ ეცხოვრა.

ამის შემდეგ გამოგზავნეს კადე სხვა მღვდელი; ერთი თვე ილოცა ეკლესიაში და ერთი კაცი მლოცავი ვერა ნახა და შიმშილით კინადამ სული ამოხდრა. ღმერთმა სულით გაანათლოს ირისფოხი ჰაიროსეფოვი, ეს მღვდელიც იმან აცხოვრა და სახარჯო მისცა. ბოლოს ისიც წავიდა.

მესამეთ გამოგვიგზავნეს მოხუცებული მჰანეზ ვართაპეტი. რადგანაც დიდმარხვა იყო და იმანაც მთელი დიდმარხვა ჩხუბით გაატარა, იხვეწებოდა, ეკლესიაში იარეთო, და ვერა გაგავრანთრა, ისიც გაიქცა.

შემდგომ ეხლანდელი მღვდელი გამოგზავნეს და ზემოთაც ვანბობ, რიგზე ლოცულობდა; მაგრამ ვერც ამან მოგვარა და როდესაც თქვენ თითონ ეკლესიაში სიარული არ გეყვართ, მღვდელს რად ეძღურებთ? თქვენთვის სულ ერთია: თუნდ იყოს, თუნდა არა.

სამი წელიწადი გაუწყვეტლათ შოთში იყო; მარშან, მართალია, ზაფხული მთელი ბორში და სხვაგან იყო, მაგრამ იმისათვის, რომ კომისიონერი ალექსანდრე შუღინი რომ ჰქუილამ შეიშალა, თქვენ მღვდელს მიუხტა და მაშინ შეეშინდა და ავით გახდა. შოთის ჰაერი რომ ვერ აიტანა, ექიმებმა უჩრჩის სხვაგან წასულიყო ჰაერის გამოსაცვლელათ და ის ამ მიზეზით იყო სხვაგან და არა საქეფოთ და ქაღალდის სათამაშოთ.

მაგრამ თქვენი ოხტიდამ ვინ მო-

ვა? რომელიც მღვდელი მოგივიდათ, ის ხომ გახსოვთ, რანაირი შვიდი და მორადებული კაცი იყო, ქეიფები და ქაღალდის თამაშობა თავის დღეშიაც არ გავგონა, ეკლესიის და თქვენი მოსამსახურე იყო; მაგრამ თქვენგან იგი დაჩაგრული შეიქმნა, რომ სამადლოთ დაიმარხა და უშნოს ეძახდით.

თქვენ არა გმართებთ სანდურაფი თქვენი მღვდლისა: როგორი ერიც არის შოთში, მღვდელიც შესაფერი გყავთ! მკლესია კი არ გეყვართ და მღვდელი არ ვიცი, რათ გინდათ? პი საბუთი: ჩვენი შოთის ეკლესია ლამის დაიქცეს, წვეთი ჩამოდის, ბალკონი მთლათ დალბა და ის ვერ მოგიხერხებიათ, რაც ნაკლულევენება აქეს, გაუყეთოთ. ღმერთმა აცხოვროს ირისფოხი ჰაიროსეფოვი, რომ იმან ეგ ეკლესია ავიშენათ, თორე თქვენ ვიცი რასაც გააკეთებდით და არ გეკადრებათ, როგორც სომეხს, მოძღვრის გალანძღვა.

რაც შეხება იმას, რომ ნვ დღეა, მანდ არ არის, ამაზედ მე გაცნობებთ: აქამდინ ქალაქში იყო და ახლა ახალციხეს წავიდა ფულის მოსაგროვებლათ, რომ შოთის ეკლესია განაახლოს. თუ მართლა ცუდათ იქცევა, შეგიძლიანთ თავის უმფროსთან უჩივლოთ და სხვა მღვდელი ითხოვთ. მაგრამ მე ეს ვიცი, უკეთესი მღვდელი თქვენ არ მოგივიათ. მაგრამ მე იმას ვიტყვი: პატიოსანი კაცი თავის მოძღვარს გაზეთებით არ გალანძღამს..

ა. თუთაფი

ბორი, 19 ივნისს

უცხო ქვეყნები

ომის ამბავი. ბუშინწინდელ „ტაკეაში“ შემდეგი ტელეგრამმა დაბეჭდილი:

„შიმონი, 21 ივნისს. სპეციალური დეპეშით გეცნობებენ, რომ გუშინ, დილის 4-სათზე გაცხარებულ ბრძოლა ყოფილა შუბოვეცსთან, სერბიის ჯარს, ჩერნიავის წინამძღომლობით, სამი ცხე აუღია და ნასადილევის 2 საათზე ნიშის ასაღებად მიდგომია.“

„შიმონი, 22 ივნისს. სამი საათის ბრძოლის ღენერალ-ჩერნიავეს აუღია მსმალოს ბანაკი ნიშთან. რანკო პლიშკოვიჩი მიდგომილია ქალაქი ბელინიის ასაღებად ბოსნიაში.“

ამავე დღეს „მთილისის მოამბეში“ შემდეგი დეპეშები დაიბეჭდა პარიჟიდან მიღებული:

21 ივნისს. ბუშინ სერბიისა და ჩერნოგორიის ჯარები მსმალეთის სამზღვარზე გადავიდნენ. მაგრამ მსმალოსა და სლავიანების ჯარს შუაჯერ არავითარი შესანიშნავი შეტაკება არ მომხდარა.

ამბობენ, რომ უმთავრესი სახელმწიფოები თავიანთ კომისარებს ნაშენავენ ბრძოლის ველზედაო, რომ ყურადღება მიაქციონ მებრძოლთა და თუ საჭიროთ დაინახვენ, შეაჩერონ ბრძოლაო.

აქ, პარიჟში, კიდევ იმედი აქვთ, რომ რუსეთისა და ავსტრიის იმპერატორების შუამდგომლობით, ბრძოლა შეაჩერონო.

„პარიჟი, 23 ივნისს. ბუშინ მსმალოს ჯარმა საიტჩარის მახლობლად სერბიელები დაამარცხა. სტამ-

ბოლიდამ, ოფიციალურად ტელეგრამით გეცნობებენ, რომ მსმალეთის სამზღვარზედ, ქ. ნიშთან, მსმალოს ჯარმა დაამარცხა სერბიელები.“

ამნაირად, როგორც ხედავთ, ორი ერთმანეთის წინააღმდეგი ამბავი მოვიდა ქალაქში: „ტაკეაში“ ამბობს, სლავიანებმა გაიმარჯვაო, „მთილისის მოამბე“ კი, მსმალეთმა სერბიის ჯარი დაამარცხაო. რომელია ამ ორ დეპეშაში მართალი და რომელი ტყუილი—ამის თქმა ამჟამად არ შეიძლება, სანამ ამ დღეებში სხვა დეპეშები და უფრო დაწერილებული ამბები არ მოგვივა.

ინგლისი. საზოგადოებათა პალატის კრებაში 21 ივნისს გამოჩენილ ორატორს ჯონ ბრაიტს უთქვამს, სხვათა შორის, რომ ბრიტანიის ხალხს მამაკედავი მსმალეთისათვის ომი სულობით არა ჰსურსო. ინგლისის სარგებლობა და ინტერესი მოითხოვსო, რომ ინგლისმა ამ აღმოსავლეთის ბრძოლაში ნეიტრალიტეტი დაიჭიროსო, ე. ი. არ გაერიოს ამ ბრძოლაშიო. ის მოაგონებს პალატას 1853 წლის პარიზის ომის დროს, როდესაც მე და პობდენი ამასვე ურჩევდით ინგლისის მმართველობასაო.

ნარკვი

სიმბირიდან ერთს ამბავს იწერებინ: უბდის ქალაქში ერთს ქალს ათხოვედნენ. ღანიშნულ დროს სასძლო ეკლესიაში მიიყვანეს. როცა გვირგვინის დადმას უპირებდნენ, მღვდელმა წესისამებრ ჰკითხა: ბსურს ამ კაცის შერთვა, თუ არაო? ძალმა მალაღლის ხმით გამოაცხადა თურმე, რომ: „არა, არ მსურს, დედ-მამა ძალას მატანს, ძალით მომათრებს ეკლესიაშიო. სხვისთვის, ჩემი საყვარლი კაცისთვის მიმიცია სიტყვაო!“ იმ წამსვე შეაჩერა მღვდელმა ჯვარის-წერა. მაგრამ გამოდგა თუ არა საწყალმა სასძლომ ეკლესიიდან ფეხი, დაესიგნენ თურმე დედ-მამა და ნათესაები და საშინლად წიწვავლავა და ცემა დაუწყეს. შინ იტის, რით გათავდებოდა ეს საქმე, პოლიცია რომ არ წამოსწრებოდა ამ საძაგელ სცენას და არ გაერთავისუფლებია მომეტებულის ცემისაგან გაწვილი და გალურჯებული სასძლო. ნათესაები დაიჭირეს. მრ კვირის შემდეგ, ამავე ეკლესიაში დასწერეს ჯვარი ამ ქალსა და იმის საყვარელ კაცს.

* * *

ძალიან ახირებული წიგნები მოგვდის ხოლმე ჩვენ ხან-და-ხან რედაქციაში. სხვათა შორის; ამ კვირაში ორი ამისთანა წიგნი მოგვივიდა:

მთი წიგნის ავტორი კორნესპონდენტისა ავზავნის, რომელშიაც ცეცხლის ამბავია დაწერილებით აწერილი და ბოლოს ამ კორნესპონდენტის დაბეჭდვას შემდეგის სიტყვებით გვთხოვს:

— „თუ თქვენ, უფ. რედაქტორო, ეს ჩემი კორნესპონდენტია არ დაბეჭდეთ, მაშინ სწორეთ დავაწმუნებები, რომ თქვენ არ გყვართ თქვენი საბრალე სამშობლო ქაეკასია!“

მეორეს წაუკითხავს „დროშის“ № 51-ში ჰუთაისი კრების გმირების „ხელნაწერი პორტრეტები“, და ვილაკ თავის მეზობლის ბიოგრაფიას, ცულ-კაცობასა და უსინიდი-

სობას აგვიწერს სამს დიდს თაბახზე; აგვიწერს, გვიგზავნის და თან გვთხოვს უეჭველად გახეთში დაბეჭდვას. ცალკე წიგნში, რომელიც ამ სტატიასთან მოგვიყვანა მხოლოდისგან გაჯავრებული ავტორი ამბობს:

— „მე გამიგონია, რომ თქვენ ახლავართ ბრძანდებით, უფ. რედაქტორო. ისიც გამიგონია, რომ ახალგაზრდებს ღმერთი არა სწამთო. ეს არ მჯერა დღემდის; მაგრამ თუ ეს ჩემი სტატია გახეთში დაბეჭდვის ღირსი არ გახდა, მაშინ კი დავიჯერებ, რასაც ამბობენ, რადგან მრავალ ჩვენთანა შორის ქრისტიანობრივი წესი დიდიწილად და ამ ქრისტიანობის დაღუპვას, ჩემს სტატიის დაუბეჭდველობით, მათ თქვენ დაეხმარებით...“

* * *

ჩილის რესპუბლიკის (პერიკაში) მმართველობამ გადაწყვიტა, რომ ქალებსაც ყველა ის პოლიტიკური და სამოქალაქო უფლება მიენიჭოს, რაც კაცებსა აქვთო. ამ ახალი კანონის ძალით, ჩილის რესპუბლიკის ქალებს შეუძლიანთ არჩეულიყვნენ ხალხის წარმომადგენლოდ პარლამენტში, ჩინოვნიკებად შევიდნენ და სხვა ყველა თანამდებობა მიიღონ. მრთ პირობა მხოლოდთ საქრო, რომ ამ უფლებებით ისარგებლონ ქალებმა: ერთი, სრულ-წლოვანი უნდა იყვნენ, და მეორეც, წერა-კითხვა უნდა იცოდნენ.

განსჯალებანი

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

პრეზნის მადანზე, ჩიტახოვის სახლებში. ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდან დილისვე 10 საათამდინ.

მ რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი მინკევიჩი — ხირურგიულ ავთმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავთმყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: პერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავთმყოფობისათვის, მამაშევი — თვალის ექიმი.

მ თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი — შინაგანი ავთმყოფ., ძიურჩარიანცი — გენერული ავთმყოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: პერმიშევი შინაგან ავთმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და ასატუროვი — შინაგანი ავთმყოფობისათვის და მინკევიჩი — ხირურგიულისათვის.

შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავთმყოფი. ძიურჩარიანცი — ყურისა და ხირურგიულ ავთმყოფობისათვის და მამაშევი — თვალის ავთმყოფობისა.

დაიგედა ხელის სტამბაში და ისეილება უფ. ძალანდაძის წიგნის მალაზიაში ქართული

სალგროსტორია

ძველის აღთქმისა, შედგენილი მღვდლის დი. ჯანაშილისაგან ხალხისათვის გასაგონის ქართულის ერთ და იმ პროგრამით, რა პროგრამითაც საღმრთო ისტორიას შეკლებში ასწავლიან. ბარეშე ქალაქებიდან დაბარება შემოხსენებული წიგნის მალაზიებიდან შეიძლება.

შასი ათი შაური

(4-4)

LA VELOUTINE
(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

იეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ აღბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს. ძანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ძ ა ი — გ ა მ ო მ გ ო ნ ი

pommade satin
(ატლანის კომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუკლებს ხელის კანი, ვინც ამ კომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris
156-42

ისეილება ძალანდაძის და მართანოვის წიგნის მალაზიაში ტუკის ხილზე. შმიკაშვილის გამოცემანი:

გრიგოლ მრბელიანის ლექსები

შასი ათი შაური

სიბრძნე სიცრუის წიგნი

თქმული

საბა მრბელიანისაგან

შასი ათი შაური

კავკასიის საბავიო ინსტიტუტი

სამშობიარო ღოზიტილი

(შეაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად) მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქიად. ღოზიტილში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

ჩრევისათვის ავთმყოფებს ყოველდღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქიად. ღოზიტილში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

ტიისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქიად. ღოზიტილში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

მ რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ და პ ა რ ა ს კ ე ვ ო ბ ი თ, დილის 11 საათიდან 12-მდი დოქტორი ალბანუსი და ძაპველიერი.

მ თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, 12 საათზე რჩევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და არტემიევისა.

საუკეთესო საშუალება

თაგების, ვირ-თაგებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად რის ბუტმანი, ქიმიკოსი პეშტიტამ,

ივპერატორის სასახლის მიჯარადრი რომელსაც პრივილეგია აქვს ბიზან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგების, ვირთაგებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს მეროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.



1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენის დროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი

ვერცხლის მედალი მიიღე და აგრეთვე მენის გამოფენაზე 1873 წელს.

შამომგონი პასუხს აგებს. ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობან.

ვაშალი თაგებისა, ვირთაგებისა და თხუნველისათვის — 1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნა საქრო, რომელიც 60 კაპ. ღირს. პედლის-ტილის წამალი — 1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლექს დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. დაბერებული ხორცის (მზოლის) წამალი, ერთი ბანკა — 60 კაპ.

უთავრასი დეპოარის თფილისში, დეორკოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მალაზიაში; მლადიკავეკაში, სეგალთან, ალექსანდროვისკის პროსპექტზე, ლებედვის სახლში; სტავროპოლში — ტურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. აქვე ისეილება თმის საღებავი.

რკ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.
თფილისი . . .	9 36	4 54		
მცხეთა . . .			68 - 38	
ბორი . . .	12 21	8 41	2 40 1 23	
ხაშური . . .	2 -	11 10	3 92 2 18	
ბეკათუბანი . . .			4 42 2 46	
შვირილა . . .			5 81 3 23	
მუთაისი . . .	8 23		6 75 3 75	
სამტრედია . . .			7 73 4 29	
ახ.-სენაკი . . .			8 57 4 76	
შოთი . . .	11 44		9 75 5 42	
შოთი . . .	8 40			
ახ.-სენაკი . . .			1 18 - 66	
სამტრედია . . .			2 6 1 14	
მუთაისი . . .	11 51		3 4 1 69	
შვირილა . . .			3 98 2 21	
ბეკათუბანი . . .		ღამე	5 33 2 96	
ხაშური . . .	5 41	1 6 5 84	3 24	
ბორი . . .	7 23	3 6 7 36	4 9	
მცხეთა . . .			9 8 5 4	
თფილისი . . .	10 16	7 24 9 75	5 42	

ცეცხლის გაგები			
ა) შოთიდან მიღის:			
მღვსისკენ — შაბათს დილის 8 საათ.			
სტამბოლს — კვირაობით, დილას.			
ბ) მღვსისკენ:			
შოთისკენ — ორშაბ. ნახად. 3 საათ.			
სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე			
შოთიდან: I II III			
სოხუმამდი . . .	4	3	1
შერჩამდი . . .	20 50	15 50	5
ტაგანროგ . . .	34	27	8 60
მღვსამდი . . .	38	30	9 60
ტელეგრაფი მ. კაპ			
მცი სიტყვა თფილისიდან:			
მუთაისს, შოთს . . .	1		
ბორს, დუშეთს, სიღნახს . . .	50		
როსტოვს მღვსს მოსკოვს . . .	2		
პეტერბურგს, მარშავს . . .	2		
მსმალეთში, შვეიცარიაში . . .	3		
იტალიაში და საფრანგეთში . . .	3 50		
ინგლისში	3 75		

ა) თფილისი დამ: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუღდ. ოთხშ., მზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ძახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) მუთაისი დამ: თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუღდიდს — ოთხშაბ.

გ) ბორი დამ: შოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) შოთი დამ: შოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

პეტერბურგი, 21 თიბათ. მთი მანეთი ღირს: ლონდონში 32 პენსი. პარიში 334 სანტიმი. მსკონტი (სარგებლისფასი) ბანკის ბილეტი 5% 100 25 მოგებიანი (პირველისესხი) მოგებიანი (მეორესესხი) 201 75 ბირაოს ფურცლები: თფილ. საზნ. ბანკისა. ხერსონის ბანკის (5 1/2) მოსკოვის (5%) . . . 86 75

აქციები: მღვსის საეკრო ბანკის 172 — შოთი-თფილ. რკინ. გზის 139 50 შავიზღვის ცეცხ. გემების 530 — ძავეპის და მერკურის . . 168 — პირვ. საზღვევ. საზოგ. 665 — პეტერბ. საზღვევ. საზ. 263 — მოსკოვის საზღვევ. საზ. 257 65

მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
	თფილისი, 24 თიბათ.	
	პური შორავლის ფო. . .	80
84	შერი ფუთი . . .	60
89	ბაშა მრეწვისა, ფუთი . . .	5 50
6	— ამერიკისა, ფუთი . . .	6 30
100 25	ბაკნტილი ბაშა ფო. . .	8
203	მატყლი თუშური ფო. . .	7 50
201 75	— მარაქამისა ფო. . .	7 50
	პბრეშუმი ნუხური გრ. . .	2 60
	ჭონი, ფუთი . . .	4
88	ჭონის სანთელი ფუთი . . .	5 60
86 75	სტეარინის სანთელი, ფ. . .	10 20
	ხორცი ძროხისა, ლიტ. . .	60
	— ცხვრისა, ლიტრა . . .	70
172	სპირტი, ვედრო . . .	6 60
139 50	შაქარი, ბროც. ფუთი . . .	7 10
530	— ფხვნილი ფუთი . . .	6
168	შავა გრვავალი ფუთი . . .	20
665	ზეთი ქუნჯუთისა ფო. . .	5 50
263	მკრო 1/2 იმპერიალი . . .	6 18